ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 28 (55)

13 დეკემბერი, 1991 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო პრესის წარმომადგენლებო!

კვლავ იძულებული ვარ მოგმართოთ თხოვნით, რომ მთელ ქართველ ხალხსა და საზოგადოებას გააცნოთ შემდეგი განცხადება:

სიტუაცია საქართველოს რესპუბლიკაში ამ ბოლო დღეებში ისევ რთულდება.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მდგომარეობის სტაბილიზაციის მისაღწევად ექსტრემალური და გადამწყვეტი ზომების მიღების ნაცვლად

აქიერკავკასიის ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის გ.პ. გრეკოვის განცხადება პრესისათვის

სიტუაციას უმოქმედობითა და ყოყმანით ამძიმებს.

მათი უსიტყვო თანხმობის გამო, არ წყნარდება შეიარაღებული თავდასხმების ცდა სამხედრო ობიექტებზე, ტრანსპორტზე, სურსათ-სანოვაგისა და მედიკამენტების კოლონებზე, თუმცაღა არსებობს შეთანხმება მათი შეუფერხებლად გატარების თაობაზე.

ა.წ. 1 დეკემბერს უკანონოდ იქნა დაკავებული ტანკებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის შეთანხმების თანახმად ჩამოსაწერად და გასანადგურებლად ქ. ლვოვისაკენ მიემართებოდა.

ბლათფორმიდან მოხსნილი და მინისტრთა საბჭოს გარაჟში გადამალულ იქნა 10 ტანკი.

სანდო წყაროებიდან ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ უკანონო აქციის შესახებ ინფორმირებული იყო, მაგრამ მას აღსაკვეცად ზომები არ მიუღია. ზოგიერთი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული იქნა პროვოკაციული ხმა, თითქოსდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობის მიერ ეს ათი ტანკი გადაეცა ქართველ „ბოევიკებს“.

უდიდესი კატეგორიულობით ჩვენ უარვყოფთ ამას.

ტანკებისა და სხვა სამხედრო ქონების არავითარ გადაცემაზე არც ყოფილა ლაპარაკი და არც შეიძლება იყოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

ჩვენი ცნობით, ამ დროისათვის მიმდინარეობს ამ ათი ტანკის აღღგენა, მათი საბრძოლო გამოყენების მიზნით. შვიდი მათგანი უკვე საბრძოლო მზადყოფნაშია დანარჩენზე მუშაობა კი დასასრულს უახლოვდება.

ჩვენ მიგმართეთ რესპუბლიკის პრეზიდენტის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებს რომ დააბრუნონ უკანონოდ მიტაცებული ტექნიკა, მაგრამ როგორც უწინ, ეს მიმართვაც უპასუხოდ დარ...

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა დანაშაულებათა დაძლევის უუნარობით ამძაფრებს მოკვეთებებს. რომელიც მიმართულია საზხედროებთან დაძაბულობის გაღრმავებისა და კონფრონტაციისაკენ რასაც შეიძლება მრავალი გართულება მოჰყვეს.

ჩვენ არა გვაქვს სხვა გზა გარდა იმისა, რომ გულახდილად ვაუწყოთ ქართველ ხალხს ამ ჩახლართული ვითარებაზე, საპასუხო ოქმებიდ ბისათვის, რის შედეგებზეც პასუხისმგებლობა მთლიანად პრეზიდენტს ეკისრება.

დაბეჯითებით გთხოვთ შეძლებისდაგვარად, შეკვეცის გარეშე გამოაქვეყნოთ ეს განცხადება. იმედი გვაქვს თქვენი მაღალი წესრიგის, პასუხისმგებლობისა და მოქმედების თავისუფლების.

ქართველი ხალხის სიყვარული გვაიძულებს, გავეუქოთ ქართველები

ეს სიტყვები ამიერკავკასიის ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებლის, გრეკოვის ზემოთწარმოდგენილ განცხადებაში არ წერია, მაგრამ იგულისხმება კი..

აბა მივადევნოთ თვალი.

თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის „უსიტყვო თანხმობის გამო, არ წყნარდება შეიარაღებული თავდასხმების ცდა სამხედრო ობიექტებზე, ტრანსპორტზე, სურსათ-სანოვაგისა და მედიკამენტების კოლონებზე“.

თურმე, უკანონოდ იქნა დაკავებული ტანკებით დატვირთული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც მშვიდობის მებაირახტრეთ გასანადგურებლად მიჰქონდათ. ყოველივე ამის გამო კი გენერალი გულახდილად აცხადებს: შეიძლება არშიასა და ხალხს შორის შეტაკება მოხდესო და ასეთ მუქარას ორგზის იმეორებს.

ბატონო გრეკოვ, თქვენ ნებას ვაძლევ, ეს ბოლოს ერთ-ორ სიტყვას ... ეს ... ეს ... ...

ბ-ნი პრემიერი და უცხო ტელევიზია

როგორც ცნობილია, უზენაესი საბჭოს 3 დეკემბრის სხდომა ჩატარდა რეგლამენტის უხეში დარღვევით და ამიტომ მისი გადაწყვეტილებები უკანონოდ იქნა ცნობილი 37 დეპუტატის მიერ. აქ მე არ შევუდგები სესიის მსვლელობის განხილვას, მხოლოდ დამაინტერესა საზღვარგარეთის ტელევიზიის შესახებ ბ-ნ პრემიერის მსჯელობის დონემ.

კომენტარი რომ პროფესიული იყოს, მე ვილაპარაკებ მხოლოდ ჩემთვის ახლოს ნაცნობ ტელევიზიაზე, რომელიც ბ-მა პრემიერმა ბევრჯერ მოიყვანა მაგალითად: მისი აზრით „ბი-ბი-სი“ — სახელმწიფო ტელერადიო კომიტეტია, სინამდვილეში კი იგი დამოუკიდებელი კერძო კორპორაციაა, სადაც სამთავრობო კონტროლი (საგარეო სამინისტროს მეშვეობით) აქვს მხოლოდ უცხოეთზე რადიოგადაცემებს. ასევე მას სამი კი არა, არამედ ორი სატელევიზიო არხი აქვს, ხოლო მესამე არხზე რომ ლონდონის რეგიონში სამუშაო დღეებში გადაცემის ლიცენზია დაჰკარგა კერძო კომპანია „თემზის ტელევიზიამ“ — არ ვიცი თუ რატომ შეაფასა ეს ბ-მა პრემიერმა როგორც გრანდიოზული კატასტროფა ბი-ბი-სისათვის, რომლის ძლიერი კონკურენტიც იყო ეს ტელეკომპანია! ხოლო „კონკურენტი“თუ რას ნიშნავს, ამის ახსნაზე მკითხველს დროს არ დავაკარგვინებ.

მესამე არხზე გადაცემის ლიცენზია სულ რამოდენიმე წლით გაიცემა ძლიერი კონკურსის შედეგად და „თემზამ“ იგი დაჰკარგა თავისი მხატვრული სტანდარტების დაქვეითების გამო — ჩვეულებრივი ამბავი დემოკრატიის პირობებში. ნეტავ რატომ აშინებს ასე ჩვენს პრემიერს ობიექტური შემოქმედებითი კონკურსი, სადაც ერთადერთი კრიტერიუმებია ნიჭი და ოსტატობა! ხოლო იმის თქმა, რომ „თემზის“ თანამშრომლები უმუშევრობის შედეგად ლამის შიმშილით დაიხოცებიან არის ისეთი დონის კომუნისტური პროპაგანდა, რომელიც უკვე არქივს გადაცემული მეგონა!

საერთოდ კი „თემზის“ დახურვაში სახელმწიფო არაფერ შუაში არ არის, ვინაიდან დემოკრატიის პირობებში, კერძო კონკურენციის პირობებში ტელევიზია ემსახურება მაყურებლის მოთხოვნილებებს და არა სახელმწიფოსა და ხელისუფლებას, როგორც ეს ჰგონიათ კომუნისტურად მოაზროვნე მოღვაწეებს — ეს კი დამწყებმა პოლიტიკოსებმაც უნდა იცოდნენ!

ბ-ნ პრემიერის ინფორმაციისათვის: ბრიტანეთში ამჟამად რეგულარულად გადის ეთერში 19 დამოუკიდებელი ტელე-კომპანია, მე-20 ამოქმედდება გაისად. ასე რომ იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ უფრო დიდი არჩევანი გვქონდეს საქართველოში, სულ სხვა კატეგორიისაა (არ ვაზუსტებ).

თუ ყველაფერი ზემოთქმულიდან განპირობებული იყო დაბალი ინფორმაციული მომზადებით, უფრო განსაცვიფრებელი იყო ბ-ნ პრემიერის გამოსვლის პოლიტიკური ნაწილი, რომლის შეფასებისაგან თავს ვიკავებ ელემენტარული ზრდილობის გამო. თურმე ნუ იტყვით, ოპოზიცია ბრიტანეთის ტელევიზიაში ვერ გამოდის! კარგი იქნება ბ-ნ პრემიერის ეს ტიპიური საბჭოთა პროპაგანდისტული განცხადება ექსპერიმენტისათვის გადმოვცეთ ბრიტანეთის ტელევიზიით — მთელი ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობა ისე ხმამაღლა გაიცინებს, რომ ალბათ პატარა მიწისძვრაც კი აღირიცხება. ისე კი, მათი კანონით, რომელსაც ძალიან მკაცრად იცავენ, ოპოზიციის ლიდერი საინფორმაციო პროგრამებში იმდენჯერ და იმავე დროით უნდა აჩვენო, რამდენჯერაც პრემიერ მინისტრი (კარგად დაიხსომეთ, ბ-ნო პრემიერო!).

ტეტჩერის მმართველობის წლებში მმართველი კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს ხანგრძლივი ომი ჰქონდა ბი-ბი-სისთან— თქვენ ოპოზიციას უფრო მეტ ყურადღებას უთმობთო სხვადასხვა სატელევიზიო პოლიტიკურ პროგრამებშიო, — რაზეც კორპორაცია პასუხობდა, რომ ხელისუფლების მოქმედებას ხალხი ისედაც ხედავს, ამიტომ მას ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული ალტერნატივა უფრო აინტერესებსო! და რით გათავდა ეს „ომი“? მმართველი კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარის გადადგომით და ბი-ბი-სის სტუდიებში შამპანურის ბოთლების ხსნით, ხოლო ხელისუფლების მიერ ასე გაკრიტიკებული ოპოზიციონერი ტელეჟურნალისტის კეიტ ეიდის რეპუტაცია და ხელფასი კი გაათმაგდა!

იქ გავრცელებული პრაქტიკაა, რომ როდესაც ხელისუფლება უცხო ქვეყანასთან რაიმე ხელშეკრულებას აწერს ხელს, სხვადასხვა ტელეკომპანიები ამ დოკუმენტის შესაფასებლად იწვევენ სწორედ ოპოზიციის წარმომადგენლებს, რომელთაც ტელემაყურებლები ხშირად უფრო კარგად იცნობენ, ვიდრე მინისტრებს! და ასეა ყველა სხვა დარგშიც.

ერთადერთი მართალი განცხადება,რომელიც ამ საკითხზე ბ-ნ ბ-მა პრემიერმა, ეს ის იყო, რომ ოპოზიცია პიკეტებისა და ძალის გამოყენებით არ უნდა გავიდესო ეთერში. თუ ეს დემოკრატიულ ქვეყნებს ეხება — ვის უნდა უნდოდეს იქ ძალის გამოყენება, როდესაც ოპოზიციას ეთერში გასვლის კანონით გარანტირებული და დაცული უფლება აქვს — სხვათაშორის ეს არის დემოკრატიის (რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით) ანი და ბანი! მაგრამ იქნებ ბ-ნი პრემიერი ამ გზით აკრიტიკებდა დღევანდელ ხელისუფლებას, რომელმაც სწორედ პიკეტებისა და ტელეეთერში ძალისმიერი გასვლით მოიპოვა ძალაუფლების ასაღებად საჭირო პოპულარობა, ვინაიდან მას ამაში შეიძლება მიბაძოს რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ?

და ბოლოს, ბ-ნ პრემიერის ასეთ არაკომპეტენტურობაზე ყურადღებას არ გავამახვილებდი (შევეჩვიეთ!), რომ არა მისი აბსოლუტურად მიუღებელი ქცევა იმავე სესიაზე, რაც იყო არა მარტო ერთი კონკრეტული დეპუტატის, არამედ მთელი უზენაესი საბჭოს შეურაცხყოფა. პრემიერს, რომელიც ასეთ ქცევას კადრულობს სესიაზე, არც ერთ ცივილიზირებულ ქვეყანაში კომუნისტთა პარტკომის მდივანზე მეტ თანამდებობას არ მისცემენ.

ამ ბოლო დროს ბევრ მიუღებელ სცენას ვხედავთ უზენაესი საბჭოს ბუნკერში, მაგრამ სადღაც წერტილი ნუთუ არ უნდა დაისვას? საინტერესოა რას იტყვის დეპუტატთა ეთიკის საპარლამენტო კომისია?!

რამაზ კლიმიაშვილი

დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ოპოზიციურ ფრაქციათა და დეპუტატთა დამოუკიდებელი ჯგუფის სათათბიროს შექმნის შესახებ

საქართველოში დღეს შექმნილია სიტუაცია, რომლის დროსაც ხორციელდება ერთპიროვნული დიქტატი, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ და სამართალდაცვით სტრუქტურებზე. ეს ხელს უშლის სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი პრინციპის, ხელისუფლებათა გამიჯვნის რეალურ განხორციელებას და იწვევს ადამიანთა ელემენტარულ უფლებათა უხეშ დარღვევას. ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში პრეზიდენტისა და უმრავლესობისაგან განსხვავებული აზრის გამოთქმა უკიდურესად გაძნელებულია, საქართველოს უზენაესი საბჭოს ფრაქციებმა „დემოკრატიულმა ცენტრმა“ დ. არეკვაძის, დ.ბერძენიშვილის, ა. ბობოხიძის, რ. გოცირიძის, თ.დიასამიძის, ა. იმნაძის, პ. კოღუაშვილის, მ. ლობჟანიძის, ნ. ნათაძის, ა. სიჭინავას, ე. შენგელაიას შემადგენლობით, „ქარტია — 91“— მა ბ. აბესაძის, მ. დვალიშვილის, მ. კვანჭილაშვილის, გ. კობერიძის, ი. მელაშვილის, თ. პაატაშვილის, მ. ურიდიას, გ. ჩორგოლაშვილის შემადგენლობით, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების დეპუტაციამ ვ. ადამიას, ზ. გიგოლაშვილის, ნ. კვაჭაძის, ს. ზვიადაძის, დ. კუპრეიშვილის, ა. მაჭავარიანის, თ.ობგაძის, ა. საკანდელიძის, ჯ. საჯაიას, გ. სუბელიანის, გ. ურიადმყოფელის, ე. ყაველაშვილის, გ. ხავთასის, მ. ხუციშვილის შემადგენლობით, აგრეთვე დეპუტატთა დამოუკიდებელმა ჯგუფმა ხ. ინასარიძის, მ. ნათაძის, ზ. კანდელაკის, ა. პოპიაშვილის, ა. კუტბას, რ. ღონღაძის შემადგენლობით, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური და ეკონომიკური პლატფორმებისა 1991 წლის 6 დეკემბერს შეკმენით საქართველოს უზენაესი საბჭოს ოპოზიციურ ფრაქციათა და დეპუტატთა დამოუკიდებელი ჯგუფის სათათბირო, საკონსულტაციო ორგანო, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიული პროცესების სტიმულირებას, ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემებისა და ამოცანების მუშაობის ნორმალურ პირობებში განხილვას, თავისი აზრისა და გადაწყვეტილებების წარდგენას საქართველოს უზენაესი საბჭოსათვის, საზოგადოებისათვის დროული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას. სათათბირო იმუშავებს შემდეგი რეგლამენტით: 1. სათათბიროს სხდომები მოიწვევა რეგულარულად, აგრეთვე რომელიმე ფრაქციის ან

დეპუტატთა დამოუკიდებელი ჯგუფის ინიციატივით; 2. სათათბიროს სხდომებს მორიგეობით თავმჯდომარეობენ ფრაქციებისა და დეპუტატთა

დამოუკიდებელი ჯგუფის წარმომადგენლები; 3. სათათბიროს მიერ მიღებულ დოკუმენტებს დეპუტატები ხელს აწერენ ფრაქციებისადმი

ან დეპუტატთა დამოუკიდებელი ჯგუფისადმი კუთვნილების მიხედვით; 4. სათათბიროს გადაწყვეტილების მიღება ხდება სათათბიროში შემავალი ფრაქციებისა

და დამოუკიდებელი ჯგუფის კონსენსუსის საფუძველზე; 5. სათათბიროს წევრ დეპუტატს უფლება აქვს სათათბიროში სხდომაზე დაუსწრებლობის

შემთხვევაში თავისი სადეპუტატო ხმის უფლება გადასცეს სათათბიროს სხვა

ნებისმიერ წევრს; 6. სათათბიროს შემადგენლობაში შესვლა შეუძლია საქართველოს უზენაესი საბჭოს

ყველა წევრს; 7. საქართველოს უზენაესი საბჭოს ოპოზიციურ ფრაქციათა და დეპუტატთა დამოუკიდებელი

ჯგუფის სათათბირო მზადაა ითანამშრომლოს საქართველოში მომქმედ იმ პოლიტიკურ

ორგანიზაციებთან ან კერძო პირებთან, რომლებიც ემხრობიან საქართველოს

დამოუკიდებლობის იდეას და მოქმედებენ საქართველოში დემოკრატიული, სამოქალაქო

საზოგადოების შესაქმნელად მშვიდობიანი, კონსტიტუციური გზით.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები:

დ. არეკვაძე, დ. ბერძენიშვილი, ა. ბობოხიძე, რ. გოცირიძე, თ. დიასამიძე, ა. იმნაძე, პ. კოღუაშვილი, მ. ლობჟანიძე, ნ. ნათაძე, ა. სიჭინავა, ე. შენგელაია, ბ. აბესაძე, მ. დვალიშვილი, მ. კვანჭილაშვილი, გ. კობერიძე, ი. მელაშვილი, თ. პაატაშვილი, მ. ურიდია, გ. ჩორგოლაშვილი, ვ. ადამია, ზ. გიგოლაშვილი, ნ. კვაჭაძე, ს. ზვიადაძე, დ. კუპრეიშვილი, ა. მაჭავარიანი, თ. ობგაძე, ა. საკანდელიძე, ჯ. საჯაია, გ. სუბელიანი, გ. ურიადმყოფელი, ე. ყაველაშვილი, გ. ხავთასი, მ. ხუციშვილი, ხ. ინასარიძე, მ. ნათაძე, ზ. კანდელაკი, ა. პოპიაშვილი, ა. კუტბა, რ. ღონღაძე.

თბილისი 1991წ. 6 დეკემბერი

ამას წინათ მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა გადაცემა, სადაც ლაფში ამოსვარეს ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია. მის მიერ მოსკოვში გამართული პრესკონფერენციის გამო. ის ბრალდებები, რაც ჟურნალისტს წაუყენეს თუ მართალია, ბუნებრივია, ქართველი მაყურებელი ასეთ ჟურნალისტს ვერ დააფასებს, მაგრამ იმისათვის, რომ კომენტატორთა აღშფოთებას ჩვენც შევუერთდეთ, საჭიროა და საჭირო იყო ეჩვენებინათ ფირი, რომელიც ჟურნალისტს მათი აზრით თავს ჭრიდა (ეს ფირი არსებობს და გასაიდუმლოებული არ არის).

ტელევიზია კი ამას არ აკეთებს. საპასუხო სიტყვის საშუალებას არავის აძლევს. ბრალდების დამადასტურებელ ფირს არ გვიჩვენებს. ერთი სიტყვით, ადამიანს ხელფეხს უბორკავენ და ისე ეჩხუბებიან. ღმერთმანი, დიდებული წესი შემოიღო ჩვენმა სინდისგარეცხილმა ტელევიზიამ...

გთავაზობთ ვ. კვარაცხელიას მიერ გადაცემის ერთ-ერთი მონაწილისადმი გაგზავნილ ბარათს.

ქალბატონ ია მუხრანელ-ბაგრატიონს!

ქალბატონო ია, ამ ბარათს მხოლოდ და მხოლოდ გულისტკივილი მაწერინებს, გულისტკივილი იმის გამო, რომ თქვენ, ჩემი კოლეგა, ვისაც ყოველთვის დიდ პატივს გცემდით, დღეს ხელისუფალთა იარაღად იქეცით და ხელს უწყობთ მათ უზნეობაში.

ქალბატონო ია, მე გული იმან კი არ მატკინა, რომ ჩემზე ტელევიზიით აუგის თქმა იკადრეთ, არამედ უფრო იმან, რომ ეს მიუღებელი ხერხებით გააკეთეთ. როცა იმ პრესკონფერენციის კომენტარი გთხოვეს, თქვენ, როგორც ჩემი კოლეგა, ვალდებული იყავით კატეგორიულად მოგეთხოვათ, რომ ჯერ ეჩვენებინათ ტელემაყურებლებისთვის იმ პრესკონფერენციის სრული ჩანაწერი და თუ მაინდამაინც სხვა გზა არ გექნებოდათ, მხოლოდ ამის შემდეგ მიგეცათ თქვენი თავისთვის კომენტარის უფლება. ეს იქნებოდა პრინციპულობაც, ობიექტურობაც და კოლეგიალობაც, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა იმ პრესკონფერენციის გადაცემა. ამიტომ მიმართეს მათი მოღვაწეობისთვის ასე ნიშანდობლივ ხერხს, რაზეც თქვენ სამწუხაროდ დათანხმდით. მჯერა, რომ თქვენ ბოროტებას კი არ ჩადიხართ, მისი უნებლიე მსახური ხართ მხოლოდ...

პატივისცემით
ვალერი კვარაცხელია

30.11.91 წ.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ოპოზიციურ ფრაქციათა და დეპუტატთა დამოუკიდებელი ჯგუფის სათათბიროს

განცხადება

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა პირველი მრავალპარტიული არჩევნები. განვლილი ერთი წლის მანძილზე პოლიტიკური სიტუაცია რესპუბლიკაში მკვეთრად შეიცვალა. საქართველოში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი ძალები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც საქართველოს შიგნით, ისე მეზობელ სახელმწიფოებში მოხდა მთელი რიგი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ცვლილებები, რაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან უფრო მეტ პროფესიონალურმა და პოლიტიკურ უნარიანობას მოითხოვს. თავისი მუშაობის მანძილზე საქართველოს პარლამენტმა დაგვანახა, რომ იგი ვერ ფლობს რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას. ხშირად მისი გადაწყვეტილებები არაპროფესიონალურია. რესპუბლიკის უზენაესი საკანონმდებლო ორგანო ვერ გადაიტანა იმ საკრებულოდ, რომელიც თავს მოუყრიდა საქართველოს მთელ სულიერ და გონებრივ პოტენციალს და მიმართავდა მას ერის საკეთილდღეოდ, გარდა ამისა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს რაოდენობის შემცირების შესახებ დაარღვია პოლიტიკურ ძალთა ის თანაფარდობა, რომლითაც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია ეს ორგანო 1990 წლის 28 ოქტომბერს და ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა არსებული ხელისუფლების არჩევითობა, მისი კანონიერება. კანონით პარლამენტიდან დეპუტატის გაწვევის შესახებ, საპარლამენტო უმრავლესობა ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ოპოზიციურ დეპუტატებზე, ხოლო ამ კანონის მოქმედებაში შეყვანით ფაქტიურად ახდენს ხელისუფლების უზრპაციას. გამომდინარე ზემოთქმულიდან საქართველოს უზენაესი საბჭოს ოპოზიციურ ფრაქციებს და დეპუტატთა დამოუკიდებელ სათათბიროს აუცილებლად მიაჩნია უახლოეს ხანში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

თბილისი. 1991 წ. 6 დეკემბერი

ასე ვაპირებთ ეროვნული იდეოლოგიის დაფუძნებას?!

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის (თავმჯდომარე, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ გაგნიძე, მოადგილე ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი მამუკა გელაშვილი) განცხადებაში აღნიშნულია: „ამ ბოლო დროს ოპოზიციურ და ოფიციალურ პრესაში გაბნეულა თავდასხმები ეროვნულ იდეოლოგიასა და ფილოსოფიაზე. ზოგიერთი „პროფესიონალი“ მათ არარსებულად მიიჩნევს, ზოგი კი პროვინციალიზმად წარმოადგენს“ („თბილისი“, 14.10.91. ხაზი ყველგან ჩემია-მ.მ.). განცხადებაში აღნიშნულ „ზოგში“ მე უნდა ვიგულისხმებოდე, ჩემს წერილში — „ერთიდან მეორე უკიდურესობამდე“ („თბილისი“, 4.10.91) გატარებული აზრების გამო. ეს აზრები, სხვა ავტორთა აზრებთან ერთად, განცხადებაში მოხსენიებულია, როგორც ცილისმწამებლური, კოსმოპოლიტური, ნეომარქსისტული. ამგვარი ქმედება განცხადებაში მიჩნეულია ზურგსუკან ტალახის სროლად, რომელიც მიმართულია ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნული ფილოსოფიის, ეროვნული თვითცნობიერების, მისი სულიერი ღირებულებებისა და საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, უმძიმესი ბრალდებებია! ჩემი პასუხი, ჩემს წერილში გამოთქმული აზრების დაცვაა, ძირითადად.

ჩემს წერილში, არსებითად, ვისაუბრე საბჭოურ პერიოდში ქართველ ფილოსოფოსთა საქმიანობის ცალმხრივ შეფასებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო ხანებში ზოგიერთი შედარებით ახალგაზრდა მკვლევარის მხრიდან. ეროვნულ იდეოლოგიას საერთოდ არ შევხებივარ. სანამუშოდ მივმართე მ.გელაშვილის წერილს — „საზოგადოებრივი მეცნიერების სწავლების შესახებ“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1.08.91), სადაც ვკითხულობთ: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა თვისებრივი ტრანსფორმაციის პირველი ეტაპი ეროვნული ფილოსოფიის აღორძინება უნდა იყოს, რაც დაეურდნობა ქრისტიანული ფილოსოფიის დასავლურ და ქართულ ტრადიციებს, XX საუკუნის ქართულ მეტაფიზიკას“. ეს აზრი ორმა პროვინციალიზმად და, ამასთან, ქართული ფილოსოფიის თავის ნაჭუჭში ჩაკეტვის ცდად მივიჩნიე, რადგანაც ეთვალისწინებდი იმ გარემოებას, რომ დასავლეთის ფილოსოფია მხოლოდ ქრისტიანული არაა და არც „XX საუკუნის ქართული მეტაფიზიკა“ არის რაიმე გარკვეულის მთქმელი. ახლა კი გავხსნი ფრჩხილებს და შევეკითხები განცხადების ავტორებს: რას ნიშნავს „XX საუკუნის ქართული მეტაფიზიკა“ და რა სპეციფიკით ხასიათდება იგი? იქნებ ავტორებმა ასევე თქვან რაიმე სხვა ქვეყნების მეტაფიზიკებზეც? ადგნენ ახლა ზ. გაგნიძე და მ.გელაშვილი და ზარ-ზეიმით აუწყონ ქართველ მკითხველს — ქართული ფილოსოფიის ისტორიის სპეციალისტი მიხეილ მაზარაძე ნიჰილისტურად არის განწყობილი ქართული ფილოსოფიისადმი. იმედია, ავტორები არც ამ შანსს გაუშვებენ ხელიდან და აქ სიტყვა სპეციალისტს (ისე როგორც განცხადებაში სიტყვა პროფესიონალი) ბრჭყალებში ჩასვამენ.

ჩემს წერილში აღნიშნული იყო, რომ, კომუნისტური წნეხის მიუხედავად, საქართველოში „კარის ფილოსოფიის“ გვერდით მუდამ არსებობდა ნამდვილი ფილოსოფია და ფილოსოფიის ჭეშმარიტი პროფესიონალები. დასახელებული მყავდა (ისიც არასრულად) ქართველი ფილოსოფოსები, რომლებიც ევროპის ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდნენ. ვწერდით, აგრეთვე, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტზე სტუდენტებს ნამდვილ ფილოსოფიასთან ჰქონდათ საქმე და არც ქართულ ფილოსოფიაშია საქმე ისე, როგორც ეს ზოგჯერაა წარმოდგენილი (სანამუშოდ ბოლო 5 წელიწადში გაკეთებული საქმეები დავიმოწმე).

ბუნებრივია ისიც, რომ ასოციაციის ხელმძღვანელები, რომლებიც აქამდე საქმეში ჩაუხედავ მკითხველს სულ სხვანაირად აცნობდნენ სინამდვილეს და თავიანთ თავს წარუდგენდნენ ვითარების შემობრუნების დამწყებად, ძნელად შეეგუებოდნენ ჩემს წერილში მოხმობილ ფაქტებს. ეს ფაქტები ხომ ნამდვილად არ ასხამდა მათს წისქვილზე წყალს. აკი მანამდე მ.გელაშვილი აღნიშნულ წერილში წერდა: ახალ დროში მარქსისტული მოდერნიზაციის პოპულარიზაციის ფონზე „საწინააღმდეგო თვალსაზრისი პრესაში მხოლოდ ერთმა ავტორმა გამოთქვა“. ეს ავტორი ზ.გაგნიძეა და დასახელებულია მისი ოთხი წერილი, რომლებშიც, მ.გელაშვილის აზრით, დასაბუთებულია საზოგადოებრივი მეცნიერების, კერძოდ პოლიტოლოგიის თვისებრივი ტრანსფორმაციის და ეროვნულ საწყისებზე დაფუძნების აუცილებლობა. ეტყობა, ამ სიტყვების ავტორისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ დასახელებული ოთხი წერილიდან ორში საერთოდ არაა ლაპარაკი პოლიტოლოგიაზე და ისინი ეხებიან საქართველოს ისტორიის სწავლებასა და კომუნისტური წყობილების მიერ დატოვებული მავნე მემკვიდრეობის თავიდან მოშორებას. კერძოდ, აქ საუბარია საქართველოში დაცული დისერტაციების მოსკოვში დამტკიცების ტრადიციაზე. ორივე ეს წერილი დროული და საჭირო იყო, მაგრამ არაფერი აქვს საერთო იმ კონტექსტთან სადაც მათ იმოწმებს მ.გელაშვილი. ზ.გაგნიძის დასახელებულ სხვა ორ წერილში, არსებითად, უზენაეს საბჭოსთან პოლიტოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბების მოთხოვნაა.

როგორ მოგწონთ მკითხველო, ის გარემოება, რომ ისეთი ფილოსოფიური ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მხოლოდ ერთ კაცს ჰქონია სწორი და დასაბუთებული თვალსაზრისი ეროვნულ ნიადაგზე პოლიტოლოგიის დაფუძნების აუცილებლობაზე. ამგვარი რამ შემთხვევით არ იწერება. გამოქვეყნდა თუ არა მ.გელაშვილის წერილი, რომელიც მაშინვე აიტაცა საქინფორმმა, მალე ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაცია, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზ.გაგნიძე, ხოლო მოადგილედ მ.გელაშვილი. ვფიქრობთ, მკითხველისათვის უკომენტაროდაც გასაგები უნდა იყოს ყველაფერი.

ზ.გაგნიძისა და მ.გელაშვილის განცხადებას წინ უსწრებდა საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის დეკლარაცია („თბილისი“, 10.10.91). განცხადებას კი მოჰყვა ასოციაციის მემორანდუმი („თბილისი“, 24.10.91), რომლებიც თავიანთი შინაარსით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც ერთი, ისე მეორე დოკუმენტი აღსავსეა ცარიელი სიტყვებით, არაფრის მთქმელი ზოგადი ფრაზებით და განცხადებებით, რაც ასე დამახასიათებელი იყო სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენში არსებული წყობის იდეოლოგიური მანქანისათვის. მათში ხშირად გამოკრთის ხოლმე მარქსიზმის და ნეომარქსიზმის არსენალიდან აღებული იდეებით ნაკარნახევი აზრები — რევოლუცია და კონტრრევოლუცია შიდა კონტრრევოლუცია და გარე კონტრრევოლუცია, შიდა და გარე კონტრრევოლუციების ბლოკირება და სხვა მრავალი ამისთანა. როგორც ჩანს, გაცილებით იოლია სხვას დაბრალო მარქსისტობა და ნეომარქსისტობა, ვიდრე საკუთრივ განთავისუფლდე მისი გავლენებისაგან. ჩემი თუ არ სჯერათ ავტორებს, მაშინ ცოტა თავი შეიწუხონ, ყურადღებით წაიკითხონ 20-იანი და 30-იანი წლების საბჭოური პრესა და ადვილად შეამჩნევენ მათი აზრების მონათესავე იდეებს. ამ ავტორებს, რომ ასეთი აზრები გააჩნიათ, არც შემთხვევითია და არც გასაკვირი. ერთი მათგანი ხომ სულ ახლო წარსულში თავგადაკლული მარქსისტი იყო, გატაცებული და აღტაცებული ლენინისა და გორბაჩოვის აზრებით, „სიჯაროობითა“ და „გარდაქმნით“, სკკპ-ს საპროგრამო დოკუმენტებით. ის, თურმე, ჯერ კიდევ 1990 წლის პირველ ნახევარში მეწყეობდა — რომელ მხარეს დამდგარიყო კომუნისტური წყობილებისა თუ ეროვნული მოძრაობის. ასე რომ, სანამ სხვას მიაწერდე მარქსისტობას და ნეომარქსისტობას და ეროვნული ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოსვლას, არ იქნებოდა ურიგო საკუთარ მარქსისტულ წარსულთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა, თუნდაც იმისთვის, რომ ეროვნული იდეოლოგიის საპროგრამო დოკუმენტებში მაინც დააღწიო თავი მარქსისტული იდეოლოგიის გავლენას.

ნუთუ სერიოზულად ფიქრობს ვინმე, რომ ამგვარი განცხადებები, დეკლარაციები და მემორანდუმები სიკეთეს მოუტანს ჩვენს ეროვნულ თვითცნობიერებას? მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ მათ ავტორებს ქართული პრესა, საქართველოს რადიო და ტელევიზია ფართო ასპარეზს უთმობს.

რაც აქ ითქვა, სამწუხაროდ ახალი არაა. გარკვეულ ეტაპზე, როგორც წესი, ყოველთვის გამოჩნდებიან ხოლმე დარგში არაფერით გამორჩეული სწავლულები (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია იდეოლოგიის სფეროსათვის) და მეტრის ფუნქციას იღებენ თავისთავზე. ასე იყო სსრკ-ში (გაიხსენეთ წითელი პროფესურა), ამას, ბუნებრივია, ვერ ასცდა საბჭოთა საქართველო და ინერციით ამგვარ რეციდივებს ადგილი აქვს ახლაც — ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობის საწყის პერიოდში. არადა ამით საქართველოს ... გაკვირვებ. ქართულ ინტელიგენციას კარგად მოეხსენება ბალავაძეებისა და მისნაირების შესახებ, რომლებიც ერთ ღამეში ჰეგელის გადაბულბულებას ჰპირდებოდნენ ხალხს და საბოლოოდ სულს უმწარებდნენ ქართველ მოაზროვნეებს.

გარკვეულ, მისაღებ და ზომიერ ფორმებში ეროვნული იდეოლოგიის დაფუძნება აუცილებელი, მისასალმებელი და მხარდასაჭერი საქმეა. მაგრამ ეროვნული იდეოლოგია ვერ დაფუძნდება ვერც სხვათა ლანძღვით, ვერც გაკეთებული საქმის უგულებელყოფით, ვერც ზოგადი ფრაზებით, ვერც მხოლოდ ამბიციური განცხადებებით, ვერც მხოლოდ დეკლარაციებითა და მემორანდუმებით და ვერც წარამარა და უადგილო ძახილით — „ჩვენთან არს ღმერთი!“

ქართული ეროვნული იდეოლოგია ქართული ბუნებიდან უნდა ამოვიდეს და არ უნდა იყოს ისეთი აგრესიული, უტოპიური და ქართული სულისათვის მიუღებელი, როგორც გვთავაზობენ ეროვნული იდეოლოგიის ასოციაციის მესვეურნი (ამაში იოლად დარწმუნდება მკითხველი, როცა ასოციაციის განცხადებებს, დეკლარაციებსა და მემორანდუმებს გაეცნობა). ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ და მსოფლიო საზოგადოებრიობის თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰუმანური იდეოლოგიით უნდა მოვიპოვოთ და არა აგრესიულით, რომლის დაფუძნება ძალიანაც რომ უნდოდეს ვინმეს, ჩვენს ძალებს აღემატება.

მიხეილ მაზარაძე

1.11.91.

ავტორის მინაწერი: წერილი ნოემბრის დასაწყისში ჩავაბარე გაზეთ „თბილისის“ რედაქციას, სადაც ძირითადად ქვეყნდება ასოციაციის განცხადებები, დეკლარაციები და მემორანდუმები. წერილი კიდეც მომზადდა დასაბეჭდად რუბრიკით — „პოლემიკა“. მაგრამ გაეცვნენ თუ არა რედაქციაში ჩემს წერილს ასოციაციის მესვეურნი მაშინვე გამოაცხვეს და სასწრაფოდ წარუდგინეს რედაქციას (რედაქციაში (...) თხრეს) თანამედროვე თვალსაჩინო ქართველი ფილოსოფოსის წინააღმდეგ. შემდეგ კი წამოაყენეს ულტიმატუმი: ან მ.მახარაძემ გაიტანოს თავისი წერილი, ან ჩვენი წერილიც გამოაქვეყნეთო. ჩემთვის ახლაც გაუგებარია რა კავშირი ჰქონდათ ამ წერილებს ერთმანეთთან. ჩვენ თანახმა ვიყავით ამაზე, მაგრამ გაზეთის რედაქციამ მიზანშეუწონლად ცნო ეს, რაც (...) მისი საქმეა. მაგრამ სხვისი წერილ(...)ბის რედაქციაში გაცნობა, თანაც (...) რესატის მხრიდან, რომელ სფერ(...) განეკუთვნება ამგვარი საქციელი ეს მკითხველს კარგად მოეხსენება.

საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის ჟურნალისტთა საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართვა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარეს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

ბატონო პრეზიდენტო! უკვე მეოთხე თვეა, გრძელდება პრესით, რადიოთი და ტელევიზიით ტელერადიო დეპარტამენტის ჟურნალისტთა საპროტესტო აქციის მიმართ უსაფუძვლო ბრალდებები და ცილისწამებები, რამაც საინფორმაციო ტერორის სახე მიიღო.

ამა წლის 3 დეკემბრის სესიაზე თქვენ, ჩვენი აქციის მონაწილეებს ქურდობაში დასდეთ ბრალი, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა — ბატონმა ვ.ადამიანმა ცილი დაგვწამა, რომ, თითქოს საპროტესტო აქციის მონაწილეები პრეზიდენტის „გადაყენებას“ მოვითხოვდით. გვინდა კვლავ გაცნობოთ, რომ აქციის მონაწილეთა მოთხოვნები იყო და არის მხოლოდ 1) „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის“ დაცვა და 2) დეპარტამენტის ხელმძღვანელობის, როგორც ამ კანონის უხეშ დამრღვევთა გადაყენება. სხვა არავითარი მოთხოვნა აქციის მონაწილეებს არ გვქონია. საქართველოში არსებობს მხოლოდ ერთი ტელერადიო დეპარტამენტი, ამდენად, ჩვენ არა გვაქვს პროფესიული და მორალური უფლება, ვიდგეთ რომელიმე მხარეს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს მთელი მოსახლეობის ინტერესები და სიტყვა მივცეთ ყველას, რასაკვირველია, ზემოთხსენებული კანონის დაცვით.

რაც შეეხება ჩვენს „ქურდებად“ გამოცხადებას — უნდა განვაცხადოთ, რომ დეპარტამენტიდან გვარდიის გასვლის დღესვე ჩვენ, აქციის მონაწილეებმა (და არა დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ, ან სხვა ვინმემ), მივაღწიეთ დეპარტამენტის შენობის დალუქვას და შენობაში მხოლოდ მას შემდეგ შევედით, რაც სამთავრობო კომისიამ შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა, გამოიტანა სათანადო დასკვნა და მოგვცა ნებართვა.

რაც შეეხება პიკეტს, იგი შედგა სწორედ უზენაეს საბჭოში მომუშავე ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ იმ ვიდეოფირის მოპარვისა, რომელზეც სხვებთან ერთად, ედპ-ს თავმჯდომარის ბ-ნ გ. ჭანტურიას გამოსვლა იყო ჩაწერილი. ჩანაწერი ტელევიზიით უნდა გადაცემულიყო, ასე რომ კასეტების ქურდებიც არსებობენ, მხოლოდ არა ჩვენს შორის (ამ ფაქტთან დაკავშირებით აღვძარით სისხლის სამართლის საქმე).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ მტკიცე პროტესტს ჩვენს მიმართ წაყენებული უსაფუძვლო ბრალდებების გამო, რაც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპს, ჩვენს ელემენტარულ კონსტიტუციურ და ადამიანურ უფლებებს, რომლის გარანტიც ბრძანდებით თქვენ, როგორც პრეზიდენტი და ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე. ამასთანავე, ზემოთხსენებული ბრალდებები წარმოადგენენ ზემოქმედებას გამოძიებაზე (მოგეხსენებათ, ტელერადიო დეპარტამენტში მომხდარი მოვლენების გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს ძიება). ჩვენს მიმართ განუწყვეტლივ გამოთქმულ ბრალდებებს აღვიქვამთ, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას, რათა შემდეგ აქციის მონაწილეთა მიმართ რეპრესიები და მათი დაპატიმრებაც კი გამართლებული იყოს.

მოვითხოვთ, შეწყდეს დაუსაბუთებელი ბრალდებები, გაირკვეს და დაისაჯოს ცილისმწამებელი, მოხდეს ბრალდების საჯარო უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, პასუხი მოეთხოვოს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, რომელმაც უპატრონოდ მიატოვა შენობა, აპარატურა და სხვა მატერიალური ღირებულებანი და რომ არა ჩვენი სიფრთხილე და საზრიანობა, დეპარტამენტი, მართლაც, გაძარცული დაგვხვდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებულნი გავხდებით მივმართოთ როგორც რესპუბლიკის, ისე საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცავ, სამართალდამცავ და ჟურნალისტურ ორგანიზაციებს.

ტელერადიო დეპარტამენტის საპროტესტო აქციის 400-ზე მეტი მონაწილე.

გთხოვთ, ჩვენი მოთხოვნა გადასცეთ ტელევიზიითა და რადიოთი.

პოლიტპატიმრის სასამართლო დაინიშნა

მსჯავრდებულ გიორგი ჭანტურიას ექვსი დღის მშრალმა შიმშილმა შედეგი გამოიღო. 9 დეკემბერს საქართველოს უშიშროების კომიტეტის შენობაში დაიწყო სასამართლო პროცესი. მოგვარებულ იქნა პროცესუალური საკითხები, რის შემდეგაც გიორგი ჭანტურიამ გააკეთა ორი განცხადება.

გასაგებია მკითხველთა დაინტერესება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ბატონ გიორგი ჭანტურიას სასამართლოსთან დაკავშირებით, მაგრამ სამართლებრივი ნორმები განაჩენის გამოტანამდე ჟურნალისტების დუმილს მოითხოვს. დაველოდოთ განაჩენს და ჩვენს გაზეთში ვრცელ პუბლიკაციას ამ პროცესის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს სხვაგან, ცხრა მთას იქით ხდებოდეს ყოველივე...

(ინტერვიუ ბატონ გურამ გეგეშიძესთან)

— **ბატონო** გურამ, რამდენიმე წლის წინ ერთმა ლიტერატორმა თქვენი შემოქმედებისადმი მიძღვნილ წერილს სათაურად „პირქუში ნიჭი" დარქვა. თქვენს ნაწარმოებებში მართლაც ნაკლებია „ხასხასა ფერები". "პირქუშია" თქვენი პუბლიცისტური ნააზრევიც. ბოლო ხანებში იშვიათად წამიკითხავს იმდენად მძაფრი, „მწარე", სკეპტიკური შეხედულებანი ჩვენს სინამდვილეზე. ქართველი ერის ცხოვრების წესზე, როგორიც თქვენს წერილებსა და ინტერვიუებში გამოთქმული– „პირქუშობა", პირქუში აღქმა თქვენი ხასიათის თვისებაა, თუ?–

— არა მგონია პირქუში კაცი ვიყო, ყოველშემთხვევაში ჩემი ახლობელი ადამიანები, ჩემი მეგობრები ასეთად არ მიცნობენ, უფრო პირიქით. ჩემი ლიტერატურული და პუბლიცისტური შრომები სინამდვილეს ასახავენ ისე, როგორც მე ვხედავ მას. იქნებ, ჩვენი სინამდვილეა პირქუში? მე არ მიყვარს თვალების დახუჭვა, არც იმაზე დუმილი, რასაც ვხედავ. ცხოვრება, რა თქმა უნდა, მრავალფეროვანია, სიმშვენიერე და სიმახინჯე ერთმანეთის გვერდით არსებობენ. არაერთხელ გამომიცდია წუთი, როდესაც უზომო ნეტარების ბურანში გახვეული ტლანქი უკეთურების წუმპეში მოულოდნელად ჩამოვვარდნილვარ და აქედან ისევ დამიწყია ზეაღსვლა იმავე მშვენიერი ნეტარების მისაღწევად. ეს ალბათ ყველას გამოუცდია, რადგან ასეთია ჩვენი წუთისოფელი. ცხოვრება არასოდეს არ არის მყარი, იგი მუდმივი მონაცვლეობაა და მე ეს ძალიან კარგად მესმის. ცხოვრებას თავისი ჩრდილიც აბლავს და თავისი ნათელიც. მე ამას ვამჩნევ. ვისაც ჩრდილის დანახვა არ სიამოვნებს, მას შეიძლება ჩემი ნაწერები მართლაც პირქუში მოეჩვენოს. რაც შეეხება მწარე, სკეპტიკურ შეხედულებებს ჩვენს სინამდვილეზე, ქართველი ერის ცხოვრების წესზე, იგი მართლაც არ მომწონს. დღევანდელი საქართველო სრულიად ვერ უახლოვდება იმ იდეალს, რომელიც მე მაქვს შექმნილი ჩემში ხატად, რომელიც მიხელდაკრეფილი ვდგავართ და მშვიდად შევეცქერით საკუთარი თავის ანაბრად დატოვებულ ლტოლვილებს. მე ეს არც მიკვირს. ჩვენ ერთმანეთთან ბრძოლას ვუნდებით, ერთმანეთის ხოცვას და ძარცვა-გლეჯას. რომაელი ფილოსოფოსის სენეკას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ის რაც წინათ მანკიერებად ითვლებოდა, დღეს ხალხის ზნე-ჩვეულება გახდა. ეს კატასტროფაა. ამდენი დანაშაულებანი არ ვიცი კიდევ თუ სადმე ხდება. ხალხი მეტისმეტად გაირყვნა მთელი იმპერიის მასშტაბით. რუსეთის იმპერიის ყველა უკეთურებამ ერთბაშად იჩინა თავი, რა უნდა მოსთხოვო ამ ხალხს? რა თქმა უნდა ქართველი ხალხიც ჩაბმულია ამ პროცესში. ჩვენ გავხდით გულგრილნი, ინდიფერენტულნი. ავთანდილის მსგავსი ხასიათები გამჭრალია ქართული სინამდვილიდან. სამაგიეროდ მრავლდება ლუარსაბ თათქარიძეები, ტარიელ მკლავაძეები, კვაჭი კვაჭანტირაძეები და ყვარყვარე, თუთაბერები. აი, ამ ტიპების ქვეყანა გახდა დღევანდელი საქართველო. შეიძლება ამგვარ ტიპებს სხვისი ჭირის გაზიარება მოსთხოვო? ეს ახალი ამბავი არ არის. დიდი ხანია ჩვენ აღარ გვაინტერესებს რა ხდება ჩვენი ბუნაგის მიღმა. სხვისი ბედით რომ დაინტერესდე. სხვისი გაჭირვება რომ გულთან ახლოს მიიტანო, დღეს ამას ვერ გაგიგებენ, ეგონებათ, რომ რაღაცას შენთვის სასარგებლოს გამოელი. უანგარობა დღეს არავის სწყამს, არაავინ დაგიჯერებს, რომ უანგოდ იცავ ადამიანს, ან რომელიმე თვალსაზრისს, ან პოზიციას. ყველა დარწმუნებული იქნება, რომ შენი მოქმედება მიმართულია რაიმე პირადულის მისაღწევად, მაგალითად, სარფიანი თანამდებობის მისაღებად ან ქონების შესაძენად. სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ რატომ უნდა შეიწუხო თავი. ამ შვიდი-რვა წლის წინათ ჩემი მოთხრობები გამოქვეყნდა „ცისკარში", „ალმა" და „დიდება". კეთილისმყოფელები მოდიოდნენ ჩემთან და გულწრფელად შეწუხებულნი მეკითხებოდნენ, რაში გჭირდებოდა ამ მოთხრობების დაწერა და დაბეჭდვა, რას მოიგებ ამით, ხიფათში თავს რატომ იგდებო? აი, ასე გვესმის ჩვენ ჩვენი მოღვაწეობა, ასეთია ჩვენი ეგოცენტრიზმი. რაც ხდება სამაჩაბლოში, ის ნაკლებად აწუხებთ თბილისში, რაც ხდება თბილისში, ის ნაკლებად აწუხებთ ზუგდიდში თუ ოზურგეთში. ასე ვართ ჩვენ დღეს დაშლილი, ასეთია ჩვენი სინამდვილე და ამის შემხედველს უნებურად გაგონდება, რომ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ „ტყვეთა სყიდვით", იჭერდნენ საკუთარ სისხლ-ხორცს და ჰყიდდნენ მონათა ბაზარზე თურქეთში და ეგვიპტეში. ყოველივე ეს ჩვენი ერის მთლიანობაზე არ მეტყველებს, არც მაღალ ეროვნულ ცნობიერებაზე, არც მორალურ სიმდგრადეზე. ეტყობა, ჩვენ ისე ხშირად გვიწევს დუჭირ პირობებში ცხოვრება, რომ თავის გადარჩენის ინსტინქტი გვაიძულებს უზნეო ქმედებებს მივმართოთ. მაგრამ რაც არ უნდა უზნეო იყოს ეს ქმედებები, როგორც არ უნდა დავგმოთ იგი, მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ შეიძლება ეს ქმედებები მეტაფიზიკური აუცილებლობით იყოს გამოწვეული და ამიტომ ბნელია განსჯა ნებისმიერი ერისა, რადგან ერი — ეს არის აღმავლობა ადამიანდან ღვთისკენ და იგი ფასდება თავისი სულიერი მონაპოვარით, თავისი კულტურით, სულიერი აღზევების უნარით, რომელსაც განსაზღვრავს უამრავი ხილული თუ უხილავი მიზეზი, მათ შორის ისტორიის ჭარტეხილები და გეოპოლიტიკური მდებარეობის სიავკარგე. ქართველ ხალხში პოტენციურად უამრავი პოზიტიური თვისება ბუდობს, მაგრამ დღეს ისეთი ჟამი დაგვიდგა, რომ ვამჟღავნებთ მხოლოდ უარყოფითს და ნეგატიურს.

— უკვე მოარულ, გაცვეთილ ფრაზად იქცა "სადაა ქართული მწერლობა?!" სადაა, ვისთანაა მწერალი გურამ გეგეშიძე?

— სადაა ქართული მწერლობა არ ვიცი, მაგრამ ვისთანაა ვარ მე, როგორც მწერალი, შემიძლია გითხრათ. მე ვარ ჩემს თავთან, ჩემს სამშობლოსთან, ზოგად ადამიანთან, ჰეშმარიტ ლიტერატურასთან. ასე ვიყავი ყოველთვის და ასე ვარ დღესაც. მე ჩემს აზრებს და პრინციპებს, ზოგიერთი-ვით, ქვეყანაში გამეფებული კონიუნქტურის მიხედვით არ ვიცვლი და საქართველოს კეთილდღეობა ჩემი ზრუნვის საგანი ამ ორიოდე დღის წინ არ გამხდარა. მე ჩემი დამოუკიდებელი თვალსაზრისი გამაჩნია ჩემი სამშობლოს სვე-ბედზე, მის აწმყოზე და მომავალზე, მე მას ჩემებურად აღვიქვამ და ჩემებურად მესახება. ის, რაც მე მინდოდა ჩემი ქვეყნისათვის და რაზედაც ვოცნებობდი, როგორც ვატყობ, არ ხორციელდება. ქვეყანა სხვა გზით მიდის, არა იმ გზით, რომ[illegible]ლსაც მე ვნატრობდი. ამიტ[illegible] დღეს არც დღევანდელი ხ[illegible]ლება ბომწონს და არც მი[illegible]ციის გარკვეული ნაწილი. [illegible] ადამიანები ვერ მიიყვანენ საქართველოს სანუკვარ მიზანთან. მათ არა აქვთ ამის უნარი. ახალი თაობა უნდა ჩაუდგეს ამ საქმეს, ალბათ, ეროვნული ცნობიერება თავისუფალი იქნება ტოტალიტარული რეჟიმის რუდმენტებისაგან. მაგრამ როდის მოხდება ეს, როდის ჩამოყალიბდება, გამოიბრძმედება და დაიხვეწება ჩვენში ეს თვობა, ან წავა ეს მსოფლიო იმ გზით, რომელიც ჩვენც მოგვიტანს თავისუფლებას და აღიარებას?...

— თქვენ შარშან განაცხადეთ „საქართველო — ეს არის ქართული კულტურა"-ო. ახლახანს ინგლისელმა რეჟისორმა მარჯანიშვილის თეატრში შექსპირის „ანტონიუსი და კლეოპატრა" დადგა. პრემიერის შემდეგ, ცოტა არ იყოს გაკვირვებით აღინიშნა, თქვენ წარმოიდგინეთ, სპექტაკლზე ხალხი მოვიდაო... ადრე თუ გვიან მოხდება საქართველოს საერთაშორისო აღიარება. ზემოაღნიშნული გაკვირვების შემდეგ, რით, რა კულტურით შეეგალთ მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში?

— დიახ, საქართველო ქართული კულტურაა და არა რაღაც ირიმატიული ეთნოსი. სამწუხაროდ, დღეს კულტურა არავის აინტერესებს. ბევრ გამოჩენილ კულტურის მოღვაწეს დევნიან, შეურაცხოფას აყენებენ, ცილს სწამებენ, მანქანის ქერდებადაც კი აცხადებენ. ზოგიერთ დოყლაპიას დაუღია პირი და ყოველივე ეს სჯერა. სამარცხვინოა ასეთი უმადურება. მე მინდა შევახსენო ცილისმწამებლებს, რომ მადლიერება ადამიანის ზნეობრივი განვითარების მაღალი დონის შედეგია. ჩვენ უნდა გაეფრთხილდეთ ყველას, ვისაც რაიმე სიკეთე გაუკეთებია სამშო[illegible]ლოსათვის, ან წიგნი დაუწერია, [illegible] ფილმი გადაუღია, ან წყარო გაუყვ[illegible]ია, ან ხე დაურგავს. ის სულისკვეთებ[illegible] ერთმანეთის ძაგებისა, სახელის [illegible]ტეხვისა, უმადურობისა და ცილ[illegible]წამებისა, რომელიც დღეს საქართველ[illegible]ოში დაინერგა, არის პირდაპირი გზ[illegible] განხეთქილების უფსკრულისაკენ. [illegible]ღეს ჩვენი ქვეყანა საშინლად პროვინციულია, პირდაპირ გრცხვენია კაცს, ზოგჯერ ისეთ რამეს გაიგონებ სახალხოდ თქმულს. ჩვენ გავხდით პლებეების ერი, ამ სიტყვის ყველაზე უარესი გაგებით. გუშინდელი უჩინონი დღეს ყოვლისმცოდნე მენტორებად ევლინებიან ქვეყანას და ბრიყვულად თვითდაჯერებულნი ჭკუას ასწავლიან მთელ ერს. მე ამ ხალხს მოვუწოდებ ცოტათი დაუფიქრდნენ თავიანთ საქციელს, დაუკვირდნენ საკუთარ თავს, დაუკვირდნენ სამყაროში შექმნილ მდგომარეობას. ამ ქვეყნად ყველაფერი გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართლაც ბრმა უნდა იყო კაცი ხედავდე ამდენ დანაშაულობებს, ძარცვას, მკვლელობებს, ახალგაზრდობის ინდიფერენტიზმს, მომავლისადმი რწმენის დაკარგვას. დღითი დღე უკან მიდის ჩვენი საქმე, ჩვენ ვცხოვრობთ სულიერ უდაბნოში, სადაც სუნთქვაც ჭირს, კულტურული მოთხოვნილებები ნულამდეა დასული. რა საერთაშორისო აღიარება უნდა მოიპოვოს ისეთმა უზნეო და ამორალურმა ქვეყანამ, როგორც დღევანდელი საქართველოა?

— ახლახანს ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ, საქართველო ბოლშევიკური, კომუნისტური პირნციპებითა და მეთოდებით იმართებაო, და საერთოდ, მეტად მწვავედ ჩაუდექით „კრიჭაში" ხელისუფლებას. არ გეშინიათ, ბატონო გურამ? მით უფრო, რომ არცთუ კეთილად მოგიხსენიებენ "ოფიციალურ მიტინგზე".–

— ოფიციალურ მიტინგზე არ დავდივარ და არ ვიცი როგორ მიხსენებენ. სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, რადგან ამ ბოლო დროს, მიტინგების აფიოტაჟს და იქ წამოსროლილ სიტყვებს ჩემთვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რაც შეეხება ხელისუფლების კრიჭაში ჩადგომას, მე არა მგონია რომ ვინმეს კრიჭაში ვუდგევარ. მე ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ და რასაც ვხედავ. ჯერჯერობით სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ, თუ დავინახავ, ამასაც ვიტყვი, ილუზიებში ყოფნა კი არ მსურს. მე ნამდვილად მეშინია, რომ დღეს საქართველო ბოლშევიკური, კომუნისტური მეთოდებით და პრინციპებით იმართება. მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლების სათავეში მყოფთ ძალაუფლების შენარჩუნების გარდა არაფერი აინტერესებთ. სწორედ ამიტომ გამსახურდიას რეჟიმი ისეთივე ანტიბათიერია ჩემთვის, როგორც შევარდნაძის რეჟიმი იყო. აბსოლუტურად ვერ ვხედავ რაიმე პრინციპულ განსხვავებას მათ შორის. ეს არის სიმართლე. ამიტომაც არ მეშინია, რადგან მე სიმართლეს ვამბობ, სიმართლე კი ისეთი ძალაა, რომელიც განუზომელ მხნეობას გმატებს. ეშინია იმას, ვინც ტყუის და იცის, რომ ტყუის.

აქვე მინდა დავუმატო, რომ არც იმ ადამიანების მესმის, რომელთაც გარკვეული ავტორიტეტი გააჩნიათ საზოგადოებაში, მაგრამ ახლა კურდღლებივით ბუჩქებში შემძვრალან და გატრუნულან, თითქოს გამოდარებას ელიანო. ჰეშმარიტმა მამულიშვილმა სწორედ მაშინ უნდა გამოთქვას თავისი აზრი, როცა ქვეყანას უჭირს. რა თქმა უნდა, არის მომენტი ქვეყნის ცხოვრებაში, როცა დუმილი გარკვეულ პოზიციას, პრინციპებს გამოხატავს, მაგრამ ჩემის აზრით, დღეს ისეთი ვითარებაა როცა დუმილი სწორედ რომ უპრინციპობის, შემგუებლობის, შარში არ გახვევის სურვილის დამადასტურებელია.

— ბოლო ხანებში, იმპერიასა თუ ჩვენში მომხდარი მოვლენების გათვალისწინებით როგორ შეაფასებთ დღეს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას?

—საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას შევაფასებდი როგორც მეტისმეტად დაძაბულს, არასტაბილურს, გაურკვეველს, ქაოტურს, ანარქიულს. ობიექტურ მიზეზებთან ერთად ამაში თვით ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, ამ მდგომარეობამდე უკუღმართად გამოვლილმა გზამ მოგვიყვანა, ჩვენმა სიყალბემ, სიცრუემ, ურწმუნოებამ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხსნა არა ჩანს. ხსნა გამოჩნდება, თუ ჰეშმარიტი თავისუფლებისათვის და სიმართლისათვის ვიბრძოლებთ.

— საუბარი „პირქუშად" დავიწყეთ ეგება „პირნათლად" მაინც დაგვემთავრებინა. მომავლისადმი მაინც თუ ხართ ოპტიმისტურად, იმედიანად განწყობილი?

— ჩვენ ქრისტეს შემდეგ მესამე ათასწლეულის კარიბჭესთან ვდგავართ. უეჭველია, გლობალური გარდატეხები და ცვლილებები მოხდება მსოფლიოში. ამის ნიშნები უკვე ჩანს. ბევრი გონიერი ადამიანი ფიქრობს, რომ თანამედროვე ცივილიზაცია ჩიხში მოექცა და კაცობრიობას აპოკალიპსი უახლოვდება. ასეც რომ არ იყოს, თვითოეულ, ცალკეულ ადამიანს თავისი აპოკალიპსი ელის. ამას მომზადება სჭირდება. მე ჯერჯერობით ახალგაზრდული ენებებით და სურვილებით განვაგრძობ ცხოვრებას, ჩემდა სამწუხაროდ, ისევ ძველ შეცდომებს ვიმეორებ. არადა ისეთ ასაკს ვუახლოვდები, როცა ადამიანი მოვალეა მომავალ სასუფეველზე იფიქროს, მომზადებული შეხვდეს ამა სოფლიდან აუცილებელ გასვლას. "ცდების და ცდების სიკვდილსა ვინც არ მოელის წამისად". ეს არ არის პესიმიზმი, ეს არის სიბრძნე. ბოლოს და ბოლოს ადამიანი ორ განზომილებაში ცხოვრობს, გარეგნულში და შინაგანში. ჩვენი შინაგანი ცხოვრება შეიძლება უფრო მეტად განსაზღვრავდეს ჩვენს არსს. თუ ადამიანი შინაგანად თავისუფალია, რაც არ უნდა პესიმისტურ მოსაზრებებს გამოთქვამდეს წუთისოფლის რაობაზე, მაინც მეტ სიკეთეს დათესავს, ვიდრე შინაგანად შეზღუდული, დაკომპლექსებული პიროვნება, რომელიც დღენიადაგ ცხოვრების იმედიანობას ქადაგებს. ადამიანი უნდა ცდილობდეს მიაღწიოს შინაგან თავისუფლებას. თავისუფალი ადამიანი ყოველთვის უკეთ შეხვდება აუცილებლობას და უკვე ეს შესაძლებლობა ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, რადგან აუცილებლობის გააზრება და მიღება, ეს არის ზიარება მარადიულ სიბრძნესთან, ამაზე დიდი მიზანი კი ადამიანს არ გააჩნია.

ესაუბრა
ფ. კოჟიაშვილი

8 დეკემბერი, 1991

საქართველოს სახალხო ფრონტში

ორშაბათს, 9 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის სხდომა.

სხდომაზე მიღებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლითიკურ მოვლენებთან დაკავშირებით.

განხილულ იქნა ორგანიზაციული საკითხიც.

დარბაზმა სახალხო ფრონტის წევრობიდან გარიცხა სსფ-ს გორის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მაჭავარიანი.

„საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონ აკაკი ბაქრაძეს დედის გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66447

ფასი 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაული 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი